ცვეთა. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში, მათ ნარჩენ სასარგებლო ვადაზე მათი ღირებულების თანაბარი განაწილებით:

სასარგებლო გამოყენების ვადა
წლებში:

მიწა	-
შენობა-ნაგებობა	50
მანქანა-დანადგარი	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ოფისის აღჭურვილობა	5-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივი - კომპანია არამატერიალურ აქტივს აღრიცხავს თვითღირებულების მეთოდით. საწყისი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივი უნდა აისახოს მისი თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ამორტიზაციისა და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების ზარალის ოდენობით.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან მომსახურების უფასოდ მიწოდებას.

მარაგები. საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

საწარმომ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეაფასოს, გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგის ერთეული (ან ერთეულთა ჯგუფი) გაუფასურდა, ამ პუნქტების მიხედვით, საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიაროს გაუფასურების ზარალი. ზემოაღნიშნული პუნქტები, ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე მოითხოვს წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

განკარგვის უფლებით შეზღუდული ფულადი ნაშთები ბანკის დეპოზიტის ჩათვლით ამოღებულია ფული და ფულის ექვივალენტებიდან ფულადი სახსრების ანგარიშგებისთვის. ნაშთები, რომლებიც აკრძალულია გაცვლისათვის ან გამოიყენება ვალდებულების დასაფარად სულ მცირე ანგარიშგების პერიოდის თორმეტი თვის შემდეგ წარმოდგენილია შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური პოზიციის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ რომლებიც განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად, მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის არის აღიარებული, როგორც გადახდილი კაპიტალი.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სესხები. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები არის საპროცენტო და სხვა დანახარჯები, რომლებსაც საწარმო ეწევა ნასესხები სახსრების მიღებასთან დაკავშირებით. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებია: (ა) ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული საპროცენტო ხარჯი, როგორც ეს აღწერილია მე-11 განყოფილებაში - „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“ ; (ბ) ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები, რომელიც აღიარებულია მე-20 განყოფილების - „იჯარა“ - შესაბამისად; და (გ) უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობების ის ნაწილი, რომელიც მიიჩნევა საპროცენტო დანახარჯების კორექტირებად.

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი უნდა აღიაროს როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი დავალიანებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გადანაგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020	3.0976
ლარი/1 ევრო	2.8844	3.5040
ლარი/1 თურქული ლირა	0.1443	0.2379

შემოსავლის აღიარება. შემოსავლის აღიარება აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და შეფასების პროცესის პირდაპირი შედეგია. საწარმომ შემოსავალი უნდა აღიაროს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარდგენილია) იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

ხარჯები

ხარჯების აღიარება აქტივებისა და ვალდებულების აღიარებისა და შეფასების პროცესის პირდაპირი შედეგია. საწარმომ უნდა აღიაროს ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მისი წარდგენის შემთხვევაში) იმ შემთხვევაში, როდესაც მცირდება აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ ფინანსური ანგარიშების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები, და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა ძირითადად მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია კომპანიის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნომსახურების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

ძირითადი საშუალება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, საწარმომ უნდა ასახოს გადაფასებული ღირებულებით (რაც გადაფასების მომენტისათვის მისი რეალური ღირებულების ტოლი იქნება), შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით.

გადაფასება საკმარისად რეგულარულად უნდა ტარდებოდეს, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი რეალური ღირებულებისაგან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

როდესაც ძირითადი საშუალების რომელიმე ობიექტის გადაფასება ხდება, მთლიანად უნდა გადაფასდეს ძირითადი საშუალებების ის კლასი, რომელსაც მოცემული აქტივი მიეკუთვნება.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში, დაგროვდეს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში და ეწოდოს „გადაფასების ნამეტი“. თუმცა, მოგებაში ან ზარალში უნდა აღიარდეს გადაფასებიდან მიღებული ნამეტი თანხა იმ ოდენობით, რომლითაც კომპენსირდება იმავე აქტივთან დაკავშირებით, ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარებული გადაფასებით განპირობებული შემცირების თანხა.

უიმედო ვალების რეზერვი. კომპანია, კლიენტების გადახდისუნარიანობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის

პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

შპს „ლეგი“ წარმოადგენს ჰოლდინგურ კომპანიას, რომლის მთავარი საქმიანობაა დეკორატიული და სამშენებლო ფილების წარმოება, შვილობილი კომპანიის უზრუნველყოფა ფულადი სახსრებით, რომელსაც გასცემს სესხის სახით და ხელს უწყობს შვილობილ კომპანიებს მათი სპეციალიზაციის მიხედვით ბიზნესის განვითარებაში. შვილობილი კომპანია შპს „ჯორჯიან სტოუნი“ ძირითადი საქმიანობაა, შპს „ლეგი“-ს წარმოებული ფილებით ტროუტუარებისა და გზების მოპირკეთება.

კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები არის ის ორგანიზაციები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა, ისე რომ მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან.

ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვის აღრიცხვისათვის გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული იდენტიფიცირებული აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები თავდაპირველად აღრიცხება შესყიდვის დღისთვის მათი სამართლიანი ღირებულებით, უმცირესების წილის მოცულობის მიუხედავად.

ის ნამეტი ღირებულება, რომლითაც შეძენისას გადახდილი თანხა (ან სხვა სახის ანაზღაურება) აღემატება შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების იმ სამართლიან ღირებულებას, რომელიც მათ ჰქონდათ შესყიდვის მომენტში, აღიარდება კონსოლიდირებულ ბალანსში, როგორც გუდვილი. შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება არის სხვაობა შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების სამართლიან ღირებულებასა და შეძენილი იდენტიფიცირებადი ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების ჩათვლით, სამართლიან ღირებულებას შორის შესყიდვის მომენტისათვის. თუ შეძენისას გადახდილი საფასური ნაკლებია შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაზე, სხვაობის აღიარება ხდება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

წილი შვილობილ კომპანიებში, რომელსაც არ ფლობს ჯგუფი წარმოადგენს უმცირესობის წილს. უმცირესობის წილი ანგარიშგების თარიღისათვის წარმოადგენს უმცირესობაში მყოფ აქციონერთა წილს შვილობილი კომპანიის იდენტიფიცირებადი ნეტო აქტივების სამართლიან ღირებულებაში, შესყიდვის დღისათვის, რასაც ემატება მათი წილი კაპიტალის ცვლილებაში შესყიდვის დღის შემდეგ. უმცირესობის წილი წარმოადგენილია კაპიტალში.

ზარალი, რომელიც განაწილებულია უმცირესობის წილზე არ აღემატება უმცირესობის წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, თუ უმცირესობის წილის მფლობელებს არა აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი ნაწილდება ჯგუფზე.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებით ელიმინირების ტრანზაქციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ნებისმიერი არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციიდან ელიმინირებულია (გაქვითულია).

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოქმედების სფერო

უფლებამოსილება

ინვესტორს მაშინ გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, როდესაც აქვს მოქმედი (ძალაში შესული) უფლებები, რომლებიც მას მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების (ე.ი. საქმიანობები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე) მართვის შესაძლებლობას აძლევს.

უფლებამოსილება წარმოიშობა უფლებებიდან. ზოგჯერ მარტივია უფლებამოსილების დადგენა, მაგალითად, როდესაც ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილების მოპოვება ხდება პირდაპირ და მხოლოდ და მხოლოდ წილობრივი ინსტრუმენტებით მინიჭებული ხმის უფლებებით, როგორცაა აქციები და მისი არსებობის დადგენა (შეფასება) შესაძლებელია აქციების ფლობით განპირობებული ხმის უფლებებით. სხვა შემთხვევაში, შეიძლება უფრო რთული იყოს უფლებამოსილების დადგენა და საჭირო გახდეს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება, მაგალითად, როდესაც უფლებამოსილება წარმოიქმნება ერთი ან რამდენიმე სახელშეკრულებო შეთანხმებიდან.

ინვესტორს, რომელსაც გააჩნია მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობა, უფლებამოსილება მაშინაც კი აქვს, თუ ჯერ არ მომხდარა მისთვის მინიჭებული მართვის უფლებების რეალიზება. მტკიცებულება იმისა, რომ ინვესტორს განხორციელებული აქვს რელევანტური საქმიანობების მართვა, შეიძლება ინვესტორს დაეხმაროს იმის დადგენაში, გააჩნია თუ არა მას უფლებამოსილება, მაგრამ მხოლოდ ამგვარი მტკიცებულების არსებობა, თავისთავად, გადამწყვეტი არ არის იმის დასადგენად, აქვს თუ არა ინვესტორს უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით.

თუ ორ ან რამდენიმე ინვესტორს, თითოეულს აქვს ძალაში შესული უფლებები, რომლებიც მას სხვადასხვა რელევანტური საქმიანობის ცალმხრივად მართვის შესაძლებლობას აძლევს, მაშინ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით იმ ინვესტორს გააჩნია უფლებამოსილება, რომელსაც აქვს მიმდინარე მომენტში იმის შესაძლებლობა, რომ მართოს ისეთი საქმიანობები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე.

ინვესტორს ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილება შეიძლება იმ შემთხვევაშიც გააჩნდეს, თუ სხვა საწარმოებს აქვთ ძალაში შესული უფლებები, რომლებიც მათ მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას აძლევს, მაგალითად, როდესაც სხვა საწარმოს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა. თუმცა, ინვესტორს, რომელსაც მხოლოდ დამცავი უფლებები აქვს, არ გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით და, მაშასადამე, ის არ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს.

ინვესტორი მაშინ ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება, თუ მისი მონაწილეობით განპირობებული შემოსავლები შეიძლება იცვლებოდეს ინვესტირებული საწარმოს საქმიანობის შედეგების მიხედვით. ინვესტორის შემოსავლები შეიძლება იყოს მხოლოდ დადებითი, მხოლოდ უარყოფითი, ან როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. მართალია, მხოლოდ ერთ ინვესტორს შეუძლია ინვესტირებულ საწარმოზე კონტროლის განხორციელება, მაგრამ ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებს შეიძლება რამდენიმე მხარე იყოფდეს. მაგალითად, არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს შეუძლიათ მონაწილეობა მოგებაში, ან ინვესტირებული საწარმოს მიერ განხორციელებულ განაწილებებში.

ინვესტორმა, მიუხედავად მისი მონაწილეობის ხასიათისა ამა თუ იმ საწარმოში (ინვესტირებული საწარმო), უნდა დაადგინოს, წარმოადგენს თუ არა ის მშობელ საწარმოს, რისთვისაც უნდა შეაფასოს, აკონტროლებს თუ არა ის ინვესტირებულ საწარმოს.

ინვესტორი იმ შემთხვევაში აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და ასევე ამ შემოსავალზე ზემოქმედების შესაძლებლობა, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით.

ინვესტორი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, თუ ინვესტორს გააჩნია ყველაფერი ქვემოთ ჩამოთვლილი:

- ა) უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით;
- ბ) ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და
- გ) შესაძლებლობა იმისა, რომ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს თავისი შემოსავლების ოდენობაზე გავლენის მოხდენის მიზნით.

არამაკონტროლებელი წილი

საწარმომ მოგება, ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის - თითოეული კომპონენტი უნდა გაანაწილოს მშობელ საწარმოსა და არამაკონტროლებელ წილზე. ანალოგიურად, საწარმომ მშობელ საწარმოსა და არამაკონტროლებელ წილზე უნდა გაანაწილოს მთლიანი სრული შემოსავალიც, თუნდაც ამან გამოიწვიოს არამაკონტროლებელი წილის უარყოფითი ნაშთი.

გუდვილი

გუდვილი (ბასს 38) მოიცავს მითითებებს მყიდველი საწარმოს იდენტიფიცირების, საწარმოთა გაერთიანების ღირებულების განსაზღვრისა და ამ ღირებულების განაწილების წესის შესახებ შეძენილ აქტივებსა და ვალდებულებებზე, ასევე პირობითი ვალდებულებების ანარიცხებზე; სტრუქტურულად საწარმოთა გაერთიანება შესაძლებელია ჩამოყალიბდეს სხვადასხვა ფორმით, იურიდიული, საგადასახადო ან სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

ეს შეიძლება იყოს ერთი საწარმოს მიერ მეორის საკუთარი კაპიტალის შესყიდვა, ერთი საწარმოს მიერ მეორის ყველა წმინდა აქტივის შეძენა,

ერთი საწარმოს მიერ მეორის ვალდებულებების თავის თავზე აღება,

ან ერთი საწარმოს მიერ მეორის ზოგიერთი წმინდა აქტივების შეძენა, რომლებიც ერთობლიობაში წარმოადგენს ერთ ან რამდენიმე სამეურნეო ერთეულს (ბიზნესს).

საწარმოთა გაერთიანება შესაძლებელია განხორციელდეს წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვების, ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების, ან სხვა აქტივების გადაცემის, ან ზემოაღნიშნული მეთოდების კომბინირებულად გამოყენების მეშვეობით. ოპერაციაში შესაძლებელია მონაწილეობდნენ გასაერთიანებელი საწარმოების აქციონერები, ან ერთი საწარმო და მეორე საწარმოს აქციონერები. საწარმოთა გაერთიანება შეიძლება მოიცავდეს ახალი საწარმოს დაფუძნებას გაერთიანებულ საწარმოებზე ან გადაცემულ წმინდა აქტივებზე კონტროლის განხორციელების მიზნით, ან ერთი ან მეტი გასაერთიანებელი საწარმოს (ერთეულის) რესტრუქტურირებას.

საწარმომ ნებისმიერი საწარმოთა გაერთიანება უნდა ასახოს შეძენის მეთოდით.

შეძენის მეთოდის გამოყენება საჭიროებს:

- (ა) მყიდველი საწარმოს იდენტიფიკაციას;
- (ბ) საწარმოთა გაერთიანების ღირებულების განსაზღვრას; და
- (გ) შეძენის თარიღისათვის საწარმოთა გაერთიანების ღირებულების გადანაწილებას შეძენილ აქტივებზე, აღებულ ვალდებულებებსა და პირობით ვალდებულებებზე. მყიდველი საწარმოს იდენტიფიკაცია

საწარმოთა ყოველი გაერთიანებისთვის აუცილებელია მყიდველი საწარმოს დადგენა. მყიდველი არის ის საწარმო, რომელიც მოიპოვებს კონტროლს სხვა საწარმოზე ან სამეურნეო ერთეულზე

იმის დასადგენად, როდის მოიპოვა მყიდველმა საწარმომ კონტროლი, აუცილებელია საწარმოთა გაერთიანების თანმდევი ყველა შესაფერისი ფაქტისა და გარემოების გათვალისწინება. მყიდველი საწარმო განცალკევებით აღიარებს შეძენილი საწარმოს მხოლოდ იმ იდენტიფიცირებად აქტივებს, ვალდებულებებსა და პირობით ვალდებულებებს, რომლებიც არსებობს შეძენის თარიღისათვის და აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს.

მაშასადამე: (ა) მყიდველმა საწარმომ შეძენილი საწარმოს საქმიანობის შემცირებასთან ან მთლიანად შეწყვეტასთან დაკავშირებული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანების ღირებულების განაწილების მიზნით მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა აღიაროს, თუ შეძენილ საწარმოს შეძენის თარიღისთვის აღიარებული აქვს რესტრუქტურირებისათვის დაკავშირებული ვალდებულება, და

(ბ) მყიდველმა საწარმომ საწარმოთა გაერთიანების ღირებულების განაწილებისას არ უნდა აღიაროს ვალდებულებები

გუდვილი

მყიდველმა საწარმომ შეძენის თარიღით:

(ა) უნდა აღიაროს საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილი გუდვილი აქტივად; და
(ბ) თავდაპირველად გუდვილი შეფასოს თვითღირებულებით, რაც იქნება საწარმოთა გაერთიანების ღირებულების მეტობის თანხა მყიდველი საწარმოს წილზე იმ იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, მყიდველმა საწარმომ საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი გუდვილი უნდა ასახოს თვითღირებულებიდან დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით:

(ა) გუდვილის ამორტიზაცია

თუ შეუძლებელია გუდვილის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, იგი უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს;

(ბ) გუდვილის გაუფასურების აღიარებასა და შეფასებასთან დაკავშირებით საწარმომ უნდა იხელმძღვანელოს - „აქტივების გაუფასურება“ - მოთხოვნებით.

გუდვილის ცალკე გაყიდვა შესაძლებელი არ არის. გუდვილი სხვა აქტივებისაგან დამოუკიდებლად არ წარმოშობს საწარმოს ფულად ნაკადებს. ამის გამო, გუდვილის რეალური ღირებულების პირდაპირი შეფასება შეუძლებელია. მაშასადამე, გუდვილის რეალური ღირებულება უნდა განისაზღვროს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულ(ებ)ის რეალური ღირებულების მიხედვით, რომლის შემადგენელ ნაწილიცაა გუდვილი.

გუდვილის გაუფასურების ტესტირების მიზნით, საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი გუდვილი, შეძენის თარიღიდან დაწყებული, განაწილდება მყიდველი საწარმოს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ყველა ერთეულზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ სარგებელს მიიღებენ გაერთიანებით განპირობებული სინერგიიდან, მიუხედავად იმისა, შეძენილი საწარმოს სხვა აქტივები და ვალდებულებები მიკუთვნებულია თუ არა ამ ერთეულებზე.

თუ შეუძლებელია დასაბუთებული საფუძველით გუდვილის მიკუთვნება ცალკეულ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულების ჯგუფებზე), მაშინ გუდვილის გაუფასურების ტესტირების მიზნით, საწარმომ უნდა განსაზღვროს ან:

(ა) მთელი შეძენილი საწარმოს ანაზღაურებადი ღირებულება, თუ გუდვილი მიეკუთვნება შეძენილ საწარმოს, რომლის ინტეგრირება არ მომხდარა (ინტეგრირება გულისხმობს შეძენილი საწარმოს რესტრუქტურისა და მის დანაწევრებას და გაერთიანებას ანგარიშვალდებულ ან სხვა შვილობილ საწარმოებში); ან

(ბ) საწარმოთა მთელი ჯგუფის ანაზღაურებადი ღირებულება, გარდა იმ საწარმოებისა, რომელთა ინტეგრირებაც არ მომხდარა, თუ გუდვილი მიეკუთვნება საწარმოს, რომლის ინტეგრირებაც განხორციელდა.

საწარმომ გუდვილი უნდა დაყოს ნაწილებად: გუდვილი, რომელიც დაკავშირებულია ინტეგრირებულ საწარმოებთან და გუდვილი, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოებთან, რომელთა ინტეგრირებაც არ მომხდარა. ამასთან, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების შესახებ ამ განყოფილებაში მოცემული მოთხოვნები, როდესაც ანგარიშობს შეძენილი საწარმოს, ან საწარმოთა ჯგუფის აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას და მათში შემავალ აქტივებზე ანაწილებს გაუფასურების ზარალსა და მისი აღდგენის (კომპენსირების) თანხებს.

შპს „ლეგი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

5. ძირითადი საშუალებები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ჯგუფი“-ის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება, არის შემდეგი:

	მიწა	შენობები და ნაგებობები	ობიექტები	სხვა ძირითადი საშუალებები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ღირებულება 31 დეკემბერი 2021	1 214 248	6 554 245	1 951 091	12 866	17 698 645	173 950	90 392	1 390 214	29 085 651
შესყიდვა	-	123 486			1 372 333	103 684	11 237	62 680	1 673 420
კაპიტალიზაცია	-	1 768 265							1 768 265
ჩამოწერა	-	(100 452)			(93 443)	(83 846)	(38 335)	(8 475)	(324 551)
ღირებულება 31 დეკემბერი 2022	1 214 248	8 345 543	1 951 091	12 866	18 977 535	193 787	63 294	1 444 419	32 202 784
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2021	-	(1 422 753)	(1 095 329)	(10 136)	(6 402 980)	(130 627)	(54 853)	(601 034)	(9 717 713)
რეალიზებული ცვეთა	-	100 325		-	71 836	83 915	32 633	6 516	295 225
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(681 654)		(2 573)	(1 834 424)	(45 860)	(18 024)	(143 839)	(2 726 375)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2022	-	(2 004 082)	(1 095 329)	(12 709)	(8 165 568)	(92 572)	(40 245)	(738 358)	(12 148 863)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2021	1 214 248	5 131 491	855 763	2 730	11 295 664	43 323	35 538	789 180	19 367 937
31 დეკემბერი 2022	1 214 248	6 341 461	855 763	157	10 811 967	101 215	23 049	706 062	20 053 921

5. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი ჯგუფის შემდეგი ძირითადი საშუალებებია იპოთეკით დატვირთული :

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: R17369555 20/09/2017. კრედიტორი : სს პროკრედიტ ბანკი (საქართველო) 204851197; მოვალე : შპს ნეოსტარ (საქართველო) 445416363; მესაკუთრე: შპს ლეგი (საქართველო) 445394564. საგანი: არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : გირავნობის ხელშეკრულების 3. მუხლის 3.1 პუნქტში მოცემული აღჭურვილობები. (12 დასახელება) საფუძველი: რეგისტრირებული გირავნობის ხელშეკრულება, 670760864-011, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 20.09.2017.
- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: R22219733 25/03/2022; კრედიტორი : სს პროკრედიტ ბანკი (საქართველო) 204851197; მესაკუთრე : შპს ლეგი (საქართველო) 445394564; საგანი: არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტში მითითებული მოძრავი ნივთი საფუძველი: რეგისტრირებული გირავნობის ხელშეკრულება, 670760864- 01111116, 25.03.2022, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 25.03.2022.
- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: R22219735 25/03/2022; კრედიტორი : სს პროკრედიტ ბანკი (საქართველო) 204851197; მესაკუთრე : შპს ლეგი (საქართველო) 445394564; საგანი: არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტში მითითებული მოძრავი ნივთი; საფუძველი: რეგისტრირებული გირავნობის ხელშეკრულება, 670760864-01111115, 25.03.2022, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 25.03.2022.
-

6. მიმდინარე მარაგები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სახით გააჩნია:

მარაგები	2022	2021
ნედლეული და მასალა	1 599 352	851 618
საქონელი	2 323 198	1 576 835
დაუმთავრებელი წარმოება	-	170 915
მზა პროდუქცია	1 442 402	537 776
სხვა მარაგები	262 225	240 171
ჯამი	5 627 177	3 377 315

ნედლეული და მასალების სახით გააჩნია ბეტონის ნაკეთობების საწარმოს ასაწყობი კონსტრუქციის შენობების, დამხმარე ერთსართულიანი ნაგებობების, მშენებლობისთვის განკუთვნილი სამშენებლო მარაგები: ბეტონის ფილები და ბორდიურები.

საქონელის სახით გააჩნია მზა პროდუქციის, კერძოდ ფილების საწარმოებლად საჭირო მასალები, ქვიშა-ღორღი და სხვა დამხმარე მასალები.

შპს „ლეგი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დაუმთავრებელი წარმოების სახით წარმოების ნახევარფაბრიკატები, დაუსრულებელი პროდუქციის ნაშთი, ხოლო მზა პროდუქციაზე უკვე დასრულებული გასაყიდად გამზადებული პროდუქციის ნაშთი.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

დებიტორული დავალიანება და ავანსები	2022	2021
დებიტორული დავალიანება	1 759 730	746 074
საექვო მოთხოვნების კორექტირება	1 147 580	1 195 985
სხვა	51 684	12 182
ჯამი	2 958 994	1 954 242

2021 წელს კომპანიამ მოხდინა სავაჭრო მოთხოვნების საექვო ვალების რეზერვის შექმნა. საექვო მოთხოვნებში გადატანილია გამარტივებული წარმოებით აღსრულების წესით ან სასამართლო წესით წარმოებული დავები სხვადასხვა დებიტორებთან. საექვო მოთხოვნების თანხები წარმოადგენს შპს ჯორჯიან სტოუნის საექვო ვალებს 722 262 ლარი და შპს ლეგის 473 723 ლარის ჯამს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მიმდინარეა და შეესაბამება რეალურ ღირებულებას.

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ეკვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი	Consol 2022	Consol 2021
ნაღდი ფული	904	436
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	500 213	269 508
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	11 462	923
საგარანტიო თანხა	-	25 280
სულ	512 579	296 147

ფული და ფულის ეკვივალენტები შეესაბამება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ასახულ ნაშთებს.

9. სხვა არამატერიალური აქტივები

კომპანიას 2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია არამატერიალური აქტივები, შესაბამისად 69 176 და 93 279.

	ლიცენზიები	სავაჭრო ნიშნები	პროგრამული უზრუნველყოფა	ჯამი
ღირებულება				
შესადარისი პერიოდის ნაშთი	91 048	61	2 170	93 279

შპს „ლეგი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დამატება	7 690			
გასვლა				
ნაშთი პერიოდის ბოლოს	98 738	61	2 170	93 279
ამორტიზაცია				-
შესადარისი პერიოდის ნაშთი	98 738	61	2 170	93 279
წლის ხარჯი/დარიცხვა	(29 912)	(61)	(1 820)	(31 793)
გაუფასურება				
ნაშთი პერიოდის ბოლოს	98 738	61	2 170	100 969
ნეტო საბალანსო ღირებულება				
პერიოდის ბოლოს	68 826	0	349	69 176

2022 წელს კომპანიამ შეიძინა პროგრამული პაკეტები და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიები, რომელსაც იყენებს საქმიანობაში.

2022 წლის 2 თებერვალს შპს „ლეგი“-მ, ქვიშა-ღორღის მოპოვების უფლების მიღების მიზნით, შეიძინა ლიცენზია:

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია N 10001290, ბრძანება N 138/ს, თარიღი 06.02.2022. ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი: გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. აღთაქლას მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. მტკვრის ქვიშა-ღორღის გამოვლინება; K-38-90-Б-ნ ნომენკლატურის ტოპორუკა, მიწისა და სამთო მინაკუთვნის ფართობი - 66 730 კვ. მეტრი. ლიცენზიის მოქმედების ვადა: 5 წელი, 06.02.2022-დან 07.02.2025-მდე.

ფილების წარმოების პროცესში შპს „ლეგი“-ს სჭირდება წყალი. 2021 წლის 21 იანვარს შპს ლეგმა შეიძინა ლიცენზია წყლის მოპოვებაზე:

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია N 10001892, ბრძანება N 34/ს, თარიღი 21.01.2021. ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი: თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნახშირდელეს მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყალი; K-38-62-Б-ნ ნომენკლატურის ტოპორუკა, მიწისა და სამთო მინაკუთვნის ფართობი - 0.07 ჰა. ლიცენზიის მოქმედების ვადა: 10 წელი, 10.01.2021-დან 22.01.2031 -მდე.

10. გადახდილი ავანსები

კომპანიას 2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილი ავანსების სახით გააჩნია წინასწარ გადარიცხული თანხები მომწოდებლებთან, როგორც ადგილობრივ ასევე უცხოურ კომპანიებთან. შესაბამისად 1 124 158 და 575 179 ლარის ოდენობით.

11. საკუთარი კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მფლობელია

შპს „ნეოსტარ“ -100%;

შპს „ნეოსტარი“-ს უშუალო მფლობელია ლეონიდ ეზიკ, უკრაინა -100%.

შპს „ლეგი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

საზოგადოების დივიდენდების განაწილების პრინციპი განისაზღვრება პარტნიორთა მიერ დამტკიცებული წლიური ბალანსის საფუძველზე საზოგადოების სამუშაო კაპიტალის, კაპიტალური დანახარჯების, დავალიანებისა და სხვა ფინანსური მოთხოვნების გათვალისწინებით.

ხარჯების დაფინანსების მიზნით, ხოლო დანარჩენ მოგებას ანაწილებს პარტნიორებზე.

2022 წელს პარტნიორზე დივიდენდი არ გამოცხადებულა.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები	1 530 352	703 689
მიღებული ავანსები	941 517	275 709
ჯამი	2 471 868	979 397

“ჯგუფის” სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მიმდინარეა და შეესაბამება რეალურ ღირებულებას.

13. მიღებული სესხები და საპროცენტო ვალდებულება

2022 და 2021 წლების მდგომარეობით, სესხების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

ორგანიზაცია	2022	2021	ვალუტა
შპს ნეოსტარი	1 899 643	1 778 111	GEL
შპს ნეოსტარი	990 936	1 203 799	EUR
შპს ნეოსტარი	959 210	-	USD
შპს სტელარ ნავიგეიშენი	270 200	-	USD
სს პროგრედიტ ბანკი	1 350 000	-	GEL
GRONX	35 126	40 269	USD
სულ სესხები	5 505 115	3 022 179	

„ჯგუფს“ 2022 წლის მდგომარეობით ერიცხება გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები სს პროგრედიტ ბანკში საკრედიტო ხაზის სახით 1 350 000 ლარი; ნეოსტარისგან მიღებული სესხის პროცენტი ცვალებადია და დამოკიდებულია საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე; ხოლო სს პროგრედიტ ბანკში საკრედიტო ხაზიდან ათვისებული თანხის საპროცენტო განაკვეთია 10,5 %:

2022 წლის საპროცენტო ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

ორგანიზაცია	2022	2021	ვალუტა
შპს ნეოსტარი	6 893 082	6 907 045	GEL
შპს ნეოსტარი	2 726	3 311	EUR
სს პროგრედიტ ბანკი	-	-	GEL
შპს სტელარ ნავიგეიშენი	1 280	-	USD
შპს ლეგი	13 504	-	GEL

შპს „ლეგი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

GRONX	39 342	42 133	USD
სულ სესხები	6 949 934	6 952 489	

14. შემოსავალი

ჯგუფის შემოსავლის წყაროა გზის და გზისპირების მოსაპირკეთებელი მასალების დამზადება (ფილები, ბორდიურები და ა.შ.)

შემოსავალი	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან ძირითადი საქმიანობიდან	18 839 025	17 255 678
შემოსავალი ინერტული მასალების რეალიზაციიდან	385 449	480 596
შემოსავალი მომსახურებიდან	2 076 394	894 446
შემოსავალი იჯარიდან	142 648	114 958
შემოსავალი რეალიზაციიდან სხვა	2 142 989	1 941 238
სულ რეალიზაცია	23 586 503	20 686 916

15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს, 15 609 462 და 14 136 800 ლარს, რომელიც მოიცავს სარეალიზაციო პროდუქციაზე გახარჯულ მასალებს და პროდუქციის თვითღირებულებაში კაპიტალიზებულ სხვადასხვა ხარჯებს ბასს-2 მარაგების სტანდარტის შესაბამისად.

16. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

	2022	2021
სამეურნეო ხარჯი	-	144
საბანკო ხარჯი	37 645	43 989
დაზღვევის ხარჯი	-	18 992
გაყიდვების ხარჯი	405 878	295 018
სამეურნეო ხარჯი	229 393	136 329
მომსახურების ხარჯი	237 241	291 965
სატენდერო ხარჯები	25 885	-
სხვა ხარჯები	221 649	174 772
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	1 157 691	961 208

17. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

ჯგუფის სხვა ფინანსური შემოსავალი და ხარჯი შედგება :

	2022	2021
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	830 473*	301 977*
სულ არასაოპერაციო/ფინანსური შემოსავალი, წმინდა	830 473	301 977

შპს „ლეგი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2022	2021
ხარჯი საკურსო სხვაობიდან	517 133*	153 466*
სულ არასაოპერაციო/ფინანსური ხარჯი, წმინდა	517 133	153 466

	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	5 806	5 708
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	18 444	123 805
სულ არასაოპერაციო/ფინანსური შემოსავალი, წმინდა	24 250	129 513

	2022	2021
საპროცენტო ხარჯი	138 428	135 963
სასაქონლო მატერიალური მარაგის დანაკლისი	-	34 919
სხვა არასაოპერაციო ზარალი	54 511	9 438
სულ არასაოპერაციო/ფინანსური ხარჯი, წმინდა	192 939	180 320

*ანგარიშგებაში მოცემულია საკურსო სხვაობასთან დაკავშირებით გასაღდებული ციფრები.

18. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯების სახით კომპანიას 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხება (138 954) და (87 708) ლარი.

19. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშგების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა

დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

20. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე ჯგუფის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

კომპანიაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში:

	2022	2021
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	512 579	296 147
სავაჭრო მოთხოვნები	2 958 994	1 954 242
გაცემული სესხები	182 500	-
	3 654 074	2 250 389
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	2 471 868	979 397
მიღებული სესხები	5 505 115	3 022 179
	7 976 983	4 001 576
ღია სავალუტო პოზიცია	(4 322 910)	(1 751 187)

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მდგომარეობის გამოყენება არ გამოირიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს.

შპს „ლეგი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს. კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და 2022 და 2021 წლების არის შემდეგი:

	GEL	USD 1 = 3.0976 GEL	EUR 1 = 4.5040 GEL	TRY 1 = 0.2379 GEL	31.12.2021
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტი	295 224	923			296 147
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 954 134	108			1 954 242
ფინანსური აქტივები, სულ	2 249 358	1 031	-	-	2 250 389
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	957 370	934	21 064	29	979 397
მიღებული სესხები	1 778 111	40 269	1 203 799		3 022 179
ფინანსური ვალდებულებები, სულ	2 735 481	41 203	1 224 864	29	4 001 576
	(486 123)	(40 171)	(1 224 864)	(29)	(1 751 187)
	20%	- 20%	20%		
	GEL	USD 1 = 2.7020 GEL	EUR 1 = 2.8844 GEL	TRY 1 = 0.1443 GEL	31.12.2022
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტი	501 158	11 422	-	-	512 579
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 958 994	-	-	-	2 958 994
გაცემული სესხები	182 500	-	-	-	182 500
ფინანსური აქტივები, სულ	3 642 652	11 422	-	-	3 654 074
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 471 868	-	-	-	2 471 868
მიღებული სესხები	3 249 643	1 264 536	990 936	-	5 505 115
ფინანსური ვალდებულებები, სულ	5 721 511	1 264 536	990 936	-	7 976 983
	(2 261 360)	(1 253 114)	(990 936)	-	(4 505 410)
	20%	20%	20%		
მოგება/(ზარალი)	(452 272)	(250 623)	(198 187)	-	

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულ განაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭირო მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლის კრედიტორული დავალიანება რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად, კომპანიას აქვს განზრახული მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის, დაფაროს სხვა არაუერთიერდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

21. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფის უშუალო მშობელი კომპანიაა შპს „ნეოსტარ“, რომლის საბოლოო მაკონტროლებელი პირია ფიზიკური პირი ლეონიდე ეზიკი.

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ესმოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმო, ან მისი სათავო საწარმო, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. ჯგუფისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ

სასესხო ვალდებულება დაკავშირებულ მხარესთან

2022-2021 წწ საპროცენტო ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	2022	2021
შპს „ჯორჯიან სტოუნ“	883 109	1 362 284

შპს „ლეგი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „ნეოსტარი“	-	102 281
შპს „ლეგიონი“	245 409	244 664
სულ გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	1 128 518	1 709 229
მოთხოვნები პერიოდის ბოლოს მდგომარეობით	2022	2021
შპს „ჯორჯიან სტოუნ“	(118 969)	255 604
შპს „ნეოსტარი“	-	-
შპს „ლეგიონი“	126 949	73 112
სულ მოთხოვნები	7 979	328 716
შესყიდვები დაკავშირებულ მხარეებიდან	2022	2021
შპს „ჯორჯიან სტოუნ“	990 639	518 379
შპს „ნეოსტარი“	55 000	1 759 260
შპს „ლეგიონი“	13 775	30 182
	1 059 414	2 307 822
ვალდებულებები პერიოდის ბოლოს მდგომარეობით	2022	2021
შპს „ნეოსტარი“	-	580 628
შპს „ლეგიონი“	-	-
სულ ვალდებულებები	-	580 628
მისაღები პროცენტები ბოლოს მდგომარეობით	2022	2021
შპს „ჯორჯიან სტოუნ“	4 927	-
შპს „ლეგიონი“	20 416	7 474
	25 343	7 474
გაცემული სესხი	2022	2021
შპს „ჯორჯიან სტოუნ“	-	-
შპს „ლეგიონი“	182 500	180 000
	182 500	180 000
მიღებული სესხი	2022	2021
შპს „ნეოსტარი“	3 849 789	1 203 799
		1 203 799
გადასახდელი პროცენტი ბოლოს მდგომარეობით	2022	2021
შპს „ნეოსტარი“	6 880 598	6 880 598
	6 880 598	6 880 598

* ინფორმაცია არ მოიცავს შვილობილ კომპანიასთან არსებულ ოპერაციებს, რომელიც ელიმინირებულია.

აქვე ავლნიშნავთ რომ ურთიერთ შორის ელიმინირებული შპს ჯორჯიან სტოუნსა და შპს ლეგის შორის ურთიერთ დებიტორი და კრედიტორი შეადგენს 809 796 ლარს, ხოლო ინვესტიციებს შვილობილ საწარმოებში 5 000 ლარს.

22. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

„ჯგუფი“ მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

კომპანია საქმიანობაა დეკორატიული ფილების წარმოება და რეალიზაცია, გზის და გზისპირების მოსაპირკეთებელი მასალების დამზადება, „ჯგუფი“ მონაწილეობს სახელმწიფო ინფრასტრუქტურულ ტენდერებში, კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება. კომპანია აგრძელებს საქმიანობას ჩვეულებრივ რეჟიმში.

23. ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2023 წლისათვის კომპანია გეგმავს იმერეთის რეგიონში (საკადასტრო კოდი - 33.04.37.464) ახალი ფილიალის გახსნას.

შპს „ლეგი“-ს ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება

სოფ. ხუცუბანი,
ქობულეთი

რ. +995 557 33 11 33
რ. +995 592 20 09 19

E_mail: sales@legi.ge,
WEB: www.legi.ge

სარჩევი

I.	ბიზნესის აღწერა	3
	გამოცდილება სფეროში	
II.	წარმოება და ლოგისტიკა.....	6
III.	ხარისხის სტანდარტი და ხარისხის კონტროლი	
IV.	კადრების მართვა	7
	კომპანიის მენეჯმენტი	
V.	მარკეტინგი და გაყიდვები.....	8
VI.	ბიზნესის პერსპექტივის ანალიზი	9
	რისკების ანალიზი	
	SWOT ანალიზი	

ბიზნესის აღწერა

შპს „ლეგი“

კომპანიის დასახელება: „ლეგი“

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 445394564

რეგისტრაციის თარიღი: 22/02/2011

მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქობულეთის რ-ნი, სოფ. ხუცუბანი

ფაქტიური ადგილმდებარეობა: საქართველო, ქობულეთის რ-ნი, სოფ. ხუცუბანი

ელ. ფოსტა: info@legi.ge

დირექტორი: ლეონიდა ეზიკ, FT352920, FE018931, ET613959, 2542701095, 19690813-00650 /უკრაინა/

მესაკუთრე: შპს „ნეოსტარ“, 445416363 - 100%

შპს „ლეგის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- სამშენებლო მასალების წარმოება, კერძოდ, ვიბროდაწნეხილი ფილების წარმოება, საბორტე ქვებისა და სამშენებლო ბლოკების წარმოება;
- ფილების დაგება;
- ვაჭრობა.

შპს „ლეგი“ ფლობს: შპს „ჯორჯიან სტოუნის“-ს 100%-იან წილს.

შპს „ჯორჯიან სტოუნის“

კომპანიის დასახელება: „ჯორჯიან სტოუნის“

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 445403199

რეგისტრაციის თარიღი: 11/11/2011

მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

იურიდიული მისამართი: საქართველო, ბათუმი, ქობულეთის რ-ნი, სოფ. ხუცუბანი

ფაქტიური ადგილმდებარეობა: საქართველო, ქობულეთის რ-ნი, სოფ. ხუცუბანი

ელ. ფოსტა: giorgidolbaia5@gmail.com

დირექტორი: გიორგი დოლბაია, 58001001125

მესაკუთრე: შპს „ლეგი“ 445394564 – 100%

შპს „ჯორჯიან სტოუნის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- ფილების დაგება.

შპს „ლეგის“ დამფუძნებელი-პარტნიორია: შპს „ნეოსტარ“.

შპს „ნეოსტარ“

კომპანიის დასახელება: ნეოსტარ

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 445416363

რეგისტრაციის თარიღი: 17/10/2012

მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

იურიდიული მისამართი: საქართველო, ბათუმი, გორგასალის ქუჩა, N 68

ფაქტიური ადგილმდებარეობა: საქართველო, ქობულეთის რ-ნი, სოფ. ხუცუბანი

ელ. ფოსტა: leo@neostar.com.ua


დირექტორი: ქეთევან ჟორჟოლიანი-ფაღავა, 61001015519

მესაკუთრე: ლეონიდ ეზიკ, 19690813-00650, FT352920 /უკრაინა/ - 100%

შპს „ნეოსტარის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- საინვესტიციო საქმიანობა,
- სამშენებლო მასალების წარმოება,
- ვაჭრობა.

შპს „ლეგის“ სტრუქტურა



ინდუსტრიის მოკლე მიმოხილვა

ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველომ და მთლიანად კავკასიის რეგიონმა მასიური ტრანსფორმაცია განიცადა. ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპების პირობებში ხელმისაწვდომი გახდა ფინანსური რესურსები მწარმოებელთათვის ხოლო ფიზიკური პირების შემოსავლების ზრდამ განაპირობა რეგიონში მზარდი მოთხოვნა საინვესტიციო საშუალებებზე რომელთაგანაც ერთ-ერთი საუკეთესოს უძრავი ქონება მიიჩნევა.

უძრავ ქონებაზე წარმოშობილმა მოთხოვნამ შექმნა საშუალება რომ განვითარებულიყო ახალი უბნები, და ამ უბნებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა, რამაც ტავის მხრივ ხელი შეუწყო ბეტონის ნაკეთობებზე მოთხოვნის ზრდას. კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია ფართოდ მოთხოვნილია საქართველოში, სადაც ჩვენი სპეციალისტები აწვდიან და აგებენ ბეტონის ვიბრო დაწნეხილ ფილებს. დღესდღეობით ბეტონის ნაკეთობებზე დიდი მოთხოვნაა იმერეთში, თბილისში, აჭარაში, გურიაში, ფოთსა და სამეგრელოში. პროდუქციაზე მოთხოვნა დღითი-დღე იზრდება და კომპანიას მიზმნად აქვს დასახურლი რომ ქართულ ბაზარზე ჩაანაცვლოს იმპორტირებული თურქული ბლოკი.

2019 წელს, ლეგის კიდევ ერთი უახლესი ევროპული სტანდარტებით აღჭურვილი საწარმო გაიხსნა თბილისში. ეს საწარმო იძლევა შესაძლებლობას შეექმნათ „colormix „ რომლის ანალოგის წარმოება საქართველოში სხვა საწარმოებს არ შეუძლიათ. colormix – ეს არის ტექნოლოგია, როდესაც ხდება ორი და მეტი ფერის ნარევიტ ფილის ზედაპირის შექმნა.

ლეგის პროდუქციით მოპირკეთებულია ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტები როგორიცაა: ბათუმის ბულვარი , ბოტანიკური ბაღი , ფოთისა და ბათუმის ტერმინალი, სომხეთის საბაჟო გამშვები პუნქტი და სხვა უამრავი ობიექტი.

კომპანია „ლეგი“-მ ცნობადობა მოპირკეთებული ობიექტების ხარისხით , გამძლეობით და პროდუქციის მრავალფეროვნებით მოიპოვა. ლეგის განვითარების კიდევ უფრო რეალისტური პროგნოზი აქვს , რადგან კომპანია ქმნის ეკოლოგიურად უსაფრთხო ევროსტანდარტების შესაბამის პროდუქციას.

ლეგი არის მომხმარებელთა ინტერესზე ორიენტირებული კომპანია და კომპანია თავისი პროდუქციით მაქსიმალურად პასუხობს როგორც ინდუსტრიული ასევე სამოქალაქო მშენებლობის დამკვეთთა მოთხოვნებს.

ეფექტური კომუნიკაცია, სერვისი და პროდუქციის ხარისხი, არის ის მახასიათებლები, რისი მეშვეობითაც კომპანიამ ქართული ბაზრის ლიდერად დაიმკვიდრა თავი და სამომავლოდ იგეგმება რომ ეს ნაცადი ფორმულა კომპანიის გაფართოებისთვის იქნეს გამოყენებული.

კომპანიას უკვე გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სხვადასხვა საშუალო და მსხვილი ზომის დამკვეთებთან, და ამავდროულად კომპანია ემსახურება საცალო სამომხმარებლო სეგმენტსაც სადილერო ქსელის მეშვეობით.

მოცემული ეტაპისათვის, იგეგმება რომ კომპანიის მესამე საწარმო გაიხსნას თერჯოლაში სოფელ ნახშირდელეში. ეს ინვესტიცია, მრავალმხრივ მომგებიანია რადგან ერთი მხრივ საშუალებას აძლევს კომპანიას რომ უფრო ეფექტური ფასით მოხდინოს საქართველოს უფრო დიდი ტერიტორიის დაფარვა და პარალელურად ჩვენივე პროდუქციით მოხდება ადგილობრივი ინფრასტრუქტურული მომსახურება, რომელიც კომპანიის პროდუქციაზე მოთხოვნას და საქარმოს რენტაბელობას ზრდის.

წარმოება და ლოგისტიკა

იწარმოება: ბეტონის ვიბრო დაწნეხილი ფილები, ბეტონის საბორტე გზის და ტროტუარის ქვები.

კომპანიის გამოშვებული პროდუქცია მრავალი ათწლეულია გამოიყენება ინდუსტრიული მშენებლობების, სამოქალაქო მშენებლობის, მრეწველობის, ლოგისტიკური დანიშნულების ობიექტების, ასევე საზღვაოსნო და ინდუსტრიული დანიშნულებით.

კომპანიის პროდუქციის სამიზნე მომხმარებელი არიან საქალაქო მშენებლობის, საქალაქო მოწყობის და ასევე ინდუსტრიულ კომპანიები, ინდუსტრიულ კონტრაქტორები, საწარმოები, ლოგისტიკური კომპანიები და კერძო მომხმარებლები რომლებიც პერიოდულად ახორციელებენ სარემონტო სამუშაოებს.

საწარმოს ადგილ-მდებარეობიდან გამომდინარე აქცენტი გაკეთდება რომ მაქსიმალურად მოხდეს დასავლეთ საქართველოს, კერძოდ კი, იმერეთის, რაჭის, გურიის და სამეგრელოს ბაზრების ათვისება.

კომპანიის პროდუქციის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ საქონლის დამზადება და წარმოება ხდება ადგილობრივ ბაზარზე, ადგილობრივი მასალებისა და მუშახელის გამოყენებით; ეს გარემოებები მნიშვნელოვნად ამცირებს კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას და მას უფრო კონკურენტულს და იოლად ხელმისაწვდომს ხდის. საწარმოს ადგილმდებარეობა ასევე გვაძლევს ლოგისტიკური უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობას და უფრო ფართე რეგიონების მოცვას, ასევე მოგვცემს მოქნილობას საქონლის მიწოდებაში როგორც დასავლეთ საქართველოში ასევე აღმოსავლეთში.

ახალი საწარმო განთავსდება თერჯოლაში, კერძოდ კი სოფელ ნახშირდელეში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 33.04.37.464 და მისი ტერიტორია რომელიც შეადგენს 31.5 ჰექტარს სრულად აღიჭურვება მაღალი ხარისხის თანამედროვე მანქანა-დანადგარებით. ახალი საწარმო საშუალებას იძლევა დადებითად შეცვალოს სოციალური ფონი უმუშევრობის მნიშვნელოვანი შემცირების საფუძველზე. საწარმოს სრულფასოვნად ამოქმედება უზრუნველყოფს ადგილობრივი კადრის გადამზადებასა და დასაქმებას (ეს გულისხმობს როგორც ნედლეულის მომწოდებლებს, ასევე სეზონურ მუშებს, პროდუქტის მომსახურე პერსონალს).

ვიბრო დაწნეხილი ბეტონის ნაკეთობების ქარხნის თერჯოლაში გახსნით კომპანია უფრო ეფექტურად და რაც მთავარია ძალიან კონკურენტული ფასით მოახდენს ადგილობრივ ნედლეულზე და ინერტულ მასალებზე წვდომას, იმისთვის რომ დააკმაყოფილოს როგორც პარტნიორი კომპანიების ასევე ბაზარზე არსებული ინდუსტრიული კომპანიების მოთხოვნილები.

საწარმოს მდებარეობის გამო შემცირდება საქონლის წარმოების, ასევე მიწოდების ხარჯები, ეს კი შეამცირებს საქონლის სარეალიზაციო ფასს ბაზარზე, გაგზავდის უფრო კონკურენტუნარიანს საქონლის თვითღირებულების შემცირების ხარჯზე.

ხარისხის სტანდარტი და ხარისხის კონტროლი

კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია გამოირჩევა მაღალი ხარისხით, რისი წინაპირობაც არის გერმანული მაღალტექნოლოგიური საწარმოო ხაზი და ოპტიმიზებული საწარმოო პროცესები რომლებიც სტაბილური ხარისხის შენარჩუნების შესაძლებლობას იძლევა. კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხი დადასტურებულია შესაბამისი ადგილობრივი და საერთაშორისო სეთიფიკატებითა და ექსპერტიზის/ლაბორატორიების დასკვნებით. პროდუქცია სერტიფიცირებულია, აკმაყოფილებს ევროსტანდარტისა და საქსტანდარტის ნორმებს.

კადრების მართვა

კომპანიის მენეჯმენტი

ფირმის დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი- ლეონიდ ეზიკი,(2542701095)

იგი არის მაღალი კვალიფიკაციის მუშაკი უმაღლესი განათლებით და სხვადასხვა ინდუსტრიაში მიღებული ორი ათწლეულის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილებით.

წარმოების ხელმძღვანელი- ანდრეი ხომენკო,(3109411070)

იგი კარგი მენეჯერია, შეუძლია წარმოების ორგანიზება და მართვა. აქვს ამ სფეროში საქმიანობის დიდი გამოცდილება, გასულ პერიოდში მუშაობდა შპს „ლეგი“-ში წარმოების უფროსის თანამდებობაზე. იგი არის კომუნიკაბელური, მეგობრული, აქვს გუნდური მუშაობის უნარი, თანამშრომლებში სარგებლობს დიდი ავტორიტეტით.

ფინანსური დირექტორი- სერგეი ნიკიტენკო. (19660817-00271)

მას ფინანსური მენეჯმენტის მიმართულებით ორი ათწლეულის განმავლობაში მიღებული გამოცდილება აქვს, მათ შორის გასათვალისწინებელია ბეტონის ნაკეთობათა კომპანია „ლეგი“-ში მიღებული გამოცდილება.

კომპანიას აქვს ჰორიზონტალური მენეჯმენტის სტრუქტურა რაც თავის მხრივ განპირობებულია ერთის მხრივ ორგანიზაციის ზომით და მეორეს მხრივ იმ ფაქტით რომ ორგანიზაციის საკვანძო პერსონალი ხშირად იყოფს/კვეთს ერთმანეთთან ფუნქციურ მოვალეობებს.

წარმოების თანამშრომლები ღებულობენ პირდაპირი ხელფასს გამომუშავებით, რომელიც უმეტეს წილად დამოკიდებულია წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე და ნამუშევარ საათებზე.


მარკეტინგი და გაყიდვები

ბეტონის ნაკეთობათა წარმოება საქართველოში მაღალი კონკურენციითა და დაბალი ტექნოლოგიური და ხარისხობრივი მოთხოვნებით და ინდუსტრიაში შესვლის დაბალი ბარიერით ხასიათდება, თუმცა ბოლო 5 წლის განმავლობაში შეიმჩნევა წვლილი მოთამაშეების ბაზრიდან გაქრობა და მათ ადგილს ტექნოლოგიურად და ხარისხობრივად უპირატესი კომპანიები იკავებენ.

იმის გამო, რომ ინდუსტრიაში მაღალი საოპერაციო მარჟების შენარჩუნება მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებითა და საწარმოო დანაკარგების შემცირების საფუძველზეა შესაძლებელი, სავარაუდოა რომ ბაზარზე არსებული წვრილი მოთამაშეების რაოდენობა კვლავ გააგრძელებს შემცირებას. 2010 წლის მდგომარეობით საქართველოში დაახლოებით 1200 წვრილი კომპანია აწარმოებდა ბეტონის ნაკეთობებს, და ამათგან მხოლოდ 3 კომპანია იყო მსხვილი მწარმოებელი, დღეის მდგომარეობით კი წვრილი მწარმოებლების რაოდენობა 400-ზე ნაკლებია და ბაზრის 80%-ს 10 მსხვილი მოთამაშე აკონტროლებს.

წარმოების დინამიკა მნიშვნელოვნად დაკავშირებულია სამშენებლო სექტორის განვითარებასთან. საქართველოში ბოლო წლებში სამშენებლო ბიზნესის მკვეთრ ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნილება ინოვაციურ პროდუქტებზე.


პროდუქციის პირდაპირ კონკურენტად შეიძლება ასევე მივიჩნიოთ ადგილობრივად წარმოებული ბაზალტისა და ნატურალური ქვის პროდუქცია, რომელიც საქართველოში უხვად მოიპოვება და ჩვენს პროდუქციასთან შედარებით აქვს ხარისხობრივი და თვისობრივი უპირატესობები, თუმცა მათ დამზადებასთან დაკავშირებული სირთულეებისა და წარმოების მექანიზაციის დაბალი დონის გამო ნატურალური ქვა დიდი მასშტაბის პროექტებში იშვიათად გამოიყენება.



ბოლო 5 წლის განმავლობაში არსებული ზრდის ტენდენცია სამშენებლო საქმიანობასა და ინფრასტრუქტურულ პროექტებში განხორციელებულ სახელმწიფო დანახარჯებში გვაძლევს საბაზს

ვივარაუდოთ, რომ მოთხოვნა ბეტონის ნაკეთობებზე არამარტო შენარჩუნდება არამედ სტაბილურად გაიზრდება.

კომპანია „ლეგი“ აწარმოებს მაღალი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას რომელსაც დასავლეთ საქართველოს მომხმარებელი უკვე კარგად იცნობს „ლეგის“ ბრენდის ქვეშ. საქართველოში ბეტონის ნაკეთობების სფეროში დაგროვილი 10 წლიანი გამოცდილების შედეგად კომპანიის ხელმძღვანელობამ საკმაოდ მჭიდრო კონტაქტი დაამყარა საქართველოში მოქმედ სამშენებლო კომპანიებთან და სავარაუდოა, რომ პირველი ორი წლის განმავლობაში კორპორატიული გაყიდვები იქნება კომპანიის რეალიზაციის 40%-ზე მეტი, თუმცა მომავალი წლების განმავლობაში სავარაუდოა რომ გაიზრდება სადილერო რეალიზაციის, საცალო რეალიზაციის და სახელმწიფო შესყიდვების წილი რაც საბოლოო ჯამში შეამცირებს სამშენებლო კომპანიების მიერ განხორციელებული შესყიდვების წილს პორტფელში, თუმცა სავარაუდოა რომ თანხობრივად იგივე პერიოდში სამშენებლო კომპანიებზე განხორციელებული რეალიზაციის მოცულობა გაიზარდოს.



კომპანია უკვე 10 წელია ახორციელებს ქართულ ბაზარზე პროდუქციის რეალიზაციას, რაც ნიშნავს იმას რომ გაყიდვების დიდი ნაწილის გენერირება მოხდება კომპანიის არსებულ მომხმარებლებზე რომელთაც გაზრდილი რეგიონალური მოთხოვნა აქვთ კომპანიის პროდუქციაზე.

საწარმოს მარკეტინგული სტრატეგია ემყარება სწორი და დროული ინფორმაციის მიწოდებას მიზნობრივ მომხმარებელზე და სხვადასხვა კომუნიკაციის საშუალებებით, კომპანია მომხმარებლებს გააცნობს როგორც პროდუქტს ასევე თანმდევ მომსახურებას,

რისკების ანალიზი და სამომავლო პროგნოზები

როგორც წესი სამშენებლო მასალების ბიზნესი ნაკლებ რისკიან საქმიანობად არის მიჩნეული და მაღალი სარეალიზაციო მარჟების წყალობით ამ სფეროში ჩართული კომპანიები იშვიათად ხვდებიან სამეწარმეო, საოპერაციო თუ ბაზრის მიერ რისკების მსხვერპლნი, თუმცა იშვიათ გამონაკლის

შემთხვევებში რისკები მაინც იჩენს თავს. კონკრეტულად ბეტონის ნაკეთობების (სასაქონლო კოდი 6810) წარმოებაში არსებული რისკებიდან, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

- წარმოების ნედლეულით უწყვეტად მომარაგება ან საწარმოო ნედლეულის შეზღუდული ხელმისაწვდომობა. ამ კონკრეტული რისკების პირობებში ეცემა კომპანიის საწარმოო სიმძლავრეები და ხდება ობიექტის მომარაგების შეფერხება. მსგავსი ტიპის რისკმა შეიძლება კომპანია კოლაფსამდე მიიყვანოს და ხშირ შემთხვევაში გამოიწვიოს სამშენებლო სექტორში არსებული პოზიციების სწრაფი დაკარგვა. ამ რისკის მიტიგაციის გზა არის მასალების სტაბილური მომწოდებლების სიის შექმნა, ალტერნატიულ მომწოდებლებთან მუშაობა და სარეალიზაციო ქსელის მოთხოვნაზე მორგებული მარაგების დონეების შენარჩუნება.

- წარმოების პროცესის უწყვეტობა -საწარმო უზრუნველყოფილი იქნება მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, საჭირო კომუნიკაციებით - ელექტრო ენერგია, წყალი, გზა;

- ბეტონის ნაკეთობების საწარმო შედგება ძალიან ბევრი მოძრავი /მექანიკური და პროგრამულად მართული კომპონენტისაგან, რომელთა მარაგ ნაწილებიც პირდაპირ ხელმისაწვდომი არაა, რის გამოც მცირე ზომის ნაწილების დაზიანებამ შეიძლება საწარმოს გაჩერება გამოიწვიოს, რაც თავის მხრივ აზიანებს როგორც წარმოებას, ასევე იწვევს პოზიციების დაკარგვას ბაზარზე. ამ რისკის მიტიგაცია უფრო მარტივია ვიდრე ის ერთი შეხედვით ჩანს, კერძოდ კი კომპანიამ საკუთარი გამოცდილების საფუძველზე ან მანქანა დანადგარების მწარმოებლის რეკომენდაციით უნდა შეიძინოს მარაგ-ნაწილები რომელიც ყველაზე ხშირად ექვემდებარება დაზიანებას.

- მძლავრი კონკურენტების გამოჩენა- კონკურენტების გამოჩენა როგორც წესი ძალიან ნეგატიურად მოქმედებს კომპანიის პოზიციაზე ბაზარზე. თუმცა ეს რისკი რამდენადმე უფრო მეტად შესამჩნევია იმ შემთხვევაში თუ კონკურენტს უკეთესი ფასის პირობებში შეუძლია რომ მომხმარებელს შესთავაზოს შესადარი ან უკეთესი ხარისხის პროდუქცია. ამ რისკის მიგრაციის მრავალნაირი ხერხი არსებობს, თუმცა მათი აპლიკაცია მეტწილად დაკავშირებულია გარემო სიტუაციაზე და კონკურენტის ვინაობაზე.

- სამშენებლო სექტორში განხორციელებული ინვესტიციების მკვეთრი შემცირება - ეს რისკი მომენტალურად აისახება სამშენებლო ბიზნესის გარემოზე და იწვევს მოთხოვნის შემცირებას მთელ რიგ პროდუქტებზე.

SWOT ანალიზი

საწარმოს ძლიერი და სუსტი მხარეების, არსებული შესაძლებლობების და საფრთხეების ანალიზი მოგვცემს საშუალებას დავადგინოთ ფირმის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებები.

საწარმოს წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორებია

- შეინარჩუნოს საწარმოო მოცულობებისა და ბაზრის ათვისების სტაბილური ტემპი მომავალი 5 წლის განმავლობაში;

- მიაღწიოს არსებული წარმოების მაქსიმალურ დატვირთვას ოპერირების მეორე წლის განმავლობაში და გადავიდეს 2 ცვლიან საწარმოო ციკლზე;
- სწორად გააცნოს მომხმარებელს საკუთარი პროდუქცია: ფილა, საბორტე ქვა, კედლის ბლოკი;
- მოახდინოს მომხმარებელთან საკუთარი პროდუქციის უპირატესობებისა და განმასხვავებელი ფაქტორების კომუნიკაცია.
- გაიმყაროს პოზიცია საცალო და საბითუმო სავაჭრო ქსელებში და შექმნას ეფექტური სადილერო და სადისტრიბუციო ქსელი დედაქალაქსა და რეგიონებში.
- მოახდინოს მომხმარებელთა სეგმენტების დივერსიფიკაცია რათა უკეთესად უზრუნველყოს ზემოთ ჩამოთვლილი პირობების მიღწევა და დაიცვას საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებულ ეკონომიკური რყევებისაგან.
- გაზარდოს პროდუქციის ასორტიმენტი და მოემსახუროს მომხმარებელთა უფრო ფართო სპექტრს.

საწამოს გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი წარმოების მოცულობის გაზრდისათვის მინიმალური დანახარჯებით. ორ-ცვლიან სამუშაო დღეზე გადასვლის შემთხვევაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა გაორმაგდება.

ხარისხიან სამშენებლო ბლოკზე არსებული მაღალი მოთხოვნის გათვალისწინებით, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას დამატებითი დანადგარის დამონტაჟება. მიღწეულ იქნება ბლოკის წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფა.

იგეგმება პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება. კერძოდ, საგზაო ინფრასტრუქტურისათვის.

იმერეთის რეგიონში, ისევე როგორც ზოგადად საქართველოში არსებული დასაქმების დაბალი დონე და შრომისუნარიანი მოსახლეობის მაღალი წილი კომპანიას საშუალებას აძლევს მარტივად დაასაქმოს ადგილობრივი კადრები. საწარმოს საქმიანობის სპეციფიკა განაპირობებს მაღალი კვალიფიკაციის კადრების არსებობას, რაც თავის თავად ხელს შეუწყობს კომპანიაში დასაქმებულთა ცოდნის დონის ამაღლებას.

შპს „ლეგი“-ს

დირექტორი: ლეონიდ ეზიკ

01.08.2023

მიადწიოს არსებული წარმოების მაქსიმალურ დატვირთვას ოპერირების მეორე წლის განმავლობაში და გადავიდეს 2 ცვლიან საწარმოო ციკლზე;

- სწორად გააცნოს მომხმარებელს საკუთარი პროდუქცია: ფილა, საბორტე ქვა, კედლის ბლოკი;
- მოახდინოს მომხმარებელთან საკუთარი პროდუქციის უპირატესობებისა და განმასხვავებელი ფაქტორების კომუნიკაცია.
- გაიმყაროს პოზიცია საცალო და საბითუმო სავაჭრო ქსელებში და შექმნას ეფექტური სადილერო და სადისტრიბუციო ქსელი დედაქალაქსა და რეგიონებში.
- მოახდინოს მომხმარებელთა სეგმენტების დივერსიფიკაცია რათა უკეთესად უზრუნველყოს ზემოთ ჩამოთვლილი პირობების მიღწევა და დაიცვას საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებულ ეკონომიკური რყევებისაგან.
- გაზარდოს პროდუქციის ასორტიმენტი და მოემსახუროს მომხმარებელთა უფრო ფართო სპექტრს.

საწამოს გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი წარმოების მოცულობის გაზრდისათვის მინიმალური დანახარჯებით. ორ-ცვლიან სამუშაო დღეზე გადასვლის შემთხვევაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა გაორმაგდება.

ხარისხიან სამშენებლო ბლოკზე არსებული მაღალი მოთხოვნის გათვალისწინებით, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას დამატებითი დანადგარის დამონტაჟება. მიღწეულ იქნება ბლოკის წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფა.

იგეგმება პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება. კერძოდ, საგზაო ინფრასტრუქტურისათვის.

იმერეთის რეგიონში, ისევე როგორც ზოგადად საქართველოში არსებული დასაქმების დაბალი დონე და შრომისუნარიანი მოსახლეობის მაღალი წილი კომპანიას საშუალებას აძლევს მარტივად დაასაქმოს ადგილობრივი კადრები. საწარმოს საქმიანობის სპეციფიკა განაპირობებს მაღალი კვალიფიკაციის კადრების არსებობას, რაც თავის თავად ხელს შეუწყობს კომპანიაში დასაქმებულთა ცოდნის დონის ამაღლებას.

შპს „ლეგი“-ს

დირექტორი: ლეონიდ ეზიკ

01.08.2023



შპს პრესტიჟ-აუდიტი

დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი

შპს „ლეგი“-ს დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

თქვენი 2023 წლის 01 აგვისტოთი დათარიღებული მმართველობის ანგარიშგების, საპასუხოდ გაცნობებთ, რომ ჩვენ წავიკითხეთ თანდართული დოკუმენტი და მივიჩნიეთ რომ:

აუდიტს წარვმართავდით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ „საქართველოს კანონი მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოების ვალდებულებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.

1. კომპანიამ, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებასთან ერთად მოამზადა მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონისა და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.

2. ჩვენს მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად, არ შეგვიძინებია რაიმე არსებითი შეუსაბამოები, რაც მიგვანიშნებდა მმართველობის ანგარიშგების მოუმზადებლობაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლების მიხედვით.

ზემოთაღნიშნული 1-ლი და მე-2 პუნქტის წაკითხვა უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემულ აზრებთან, რომელიც მიჯნავს ხელმძღვანელობისა და აუდიტორის პასუხისმგებლობებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ თავიანთ აუდიტორს და აუდიტორი შეამოწმებს ანგარიშგება მოიცავს თუ არა აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტითა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციებს.

ზემოთ აღნიშნული ნორმატიული ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობა ამზადებს

მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

შპს პრესტიჟ-აუდიტი

- კომპანიის განვითარების გეგმებს;
- კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას;
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობის სხვა საკითხებს (იმ შემთხვევაში თუ რელევანტურია კომპანიისთვის). აუდიტორის პასუხისმგებლობა ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და შევაფასოთ:
- რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან და;
- რამდენად შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

ჩვენ მიერ, 2023 წლის 1 აგვისტოთი გამოშვებულია დასკვნა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, დათარიღებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს აღნიშნულ დასკვნასთან ერთად.

მოცემული მმართველობითი ანგარიშგების აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორი არის მაია ფეიქრიშვილი.

გარიგების პარტნიორის სახელით

მაია ფეიქრიშვილი (SARAS-A-965293)

შპს „პრესტიჟ-აუდიტი“ (SARAS-F-638067)

2023 წლის 01 აგვისტო

- კომპანიის განვითარების გეგმებს;
- კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას;
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობის სხვა საკითხებს (იმ შემთხვევაში თუ რელევანტურია კომპანიისთვის). აუდიტორის პასუხისმგებლობა ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და შევაფასოთ:
- რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან და;
- რამდენად შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

ჩვენ მიერ, 2023 წლის 1 აგვისტოთი გამოშვებულია დასკვნა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, დათარიღებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს აღნიშნულ დასკვნასთან ერთად.

მოცემული მმართველობითი ანგარიშგების აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორი არის მაია ფეიქრიშვილი.

გარიგების პარტნიორის სახელით

მაია ფეიქრიშვილი (SARAS-A-965293)



შპს „პრესტიჟ-აუდიტი“ (SARAS-F-638067)

2023 წლის 01 აგვისტო